



სტუდენტური ომბუდსმენის ოფისის დებულება



მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტური ომბუდსმენის ოფისის (შემდგომში - ოფისი) ფუნქციებსა და ომბუდსმენის უფლებამოსილებებს, მისი საქმიანობის მიზნებსა და ძირითად პრინციპებს.
- 1.2. სტუდენტური ომბუდსმენის ოფისი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
- 1.3. სტუდენტური ომბუდსმენის ოფისს ხელმძღვანელობს ომბუდსმენი, რომელსაც ნიშნავს რექტორი და ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

მუხლი 2. ოფისის მიზანი და საქმიანობის ძირითადი პრინციპები

- 2.1. ოფისის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, მათი დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და ასევე, დარღვეული უფლებების აღდგენას საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად;
- 2.2. ომბუდსმენის საქმიანობის ძირითადი პრინციპები:
 - 2.2.1. დამოუკიდებლობა: სტუდენტური ომბუდსმენი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ნებისმიერი პირის მხრიდან სხვადასხვა სახის კანონმდებლობით შეზღუდული ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია. ის იცავს სამართლიანობას, ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.
 - 2.2.2. კონფიდენციალობა: სტუდენტური ომბუდსმენის ოფისი არის კონფიდენციალური სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. ომბუდსმენი იცავს სტუდენტის და მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, გარდა იმ

შემთხვევებისა, თუ ამის თანხმობა არსებობს სტუდენტისგან, ან ომბუდსმენის გადაწყვეტილებით იკვეთება საშიშროების რისკი, მოითხოვს კანონი ან უნივერსიტეტის პოლიტიკა.

2.2.3. ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა: არის ნეიტრალური და მიუკერძოებელი თითოეული სტუდენტისა და თანამშრომლის მიმართ; ომბუდსმენი არ იკავებს რომელიმეს მხარეს, განიხილავს ყველა იმ მხარის უფლებებსა და ინტერესებს, რომლებიც ჩართულნი არიან პრობლემის სამართლიანად გადაწყვეტის საკითხში.

2.2.4. კოლეგიალობა: კოლეგიალობის მიზნით ომბუდსმენი ზრუნავს ნდობის, პატივისცემის მოპოვებასა და თანამშრომლობითი ურთიერთობების დამკვიდრებაზე.

მუხლი 3. ოფისის ამოცანები და ძირითადი ფუნქციები

- 3.1. სტუდენტთა კონსულტირება სტუდენტთა უფლებებისა და მოვალეობების საკითხებზე და მათთვის შესაბამისი რჩევების მიცემა ფორმალური თუ არაფორმალური გზით პრობლემის გადასაჭრელად;
- 3.2. უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის დამოუკიდებლად შემოწმება/შესწავლა და მათი დარღვევის შემთხვევაში უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენის ხელშეწყობა;
- 3.3. სტუდენტთა განცხადების განხილვა აკადემიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებით და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება/რეკომენდაციების შემუშავება;
- 3.4. სტუდენტთა საჩივრების განხილვა უნივერსიტეტის კანონმდებლობისა და ეთიკის სტანდარტების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით და შესაბამისი რეაგირება;
- 3.5. საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობების/ღონისძიებების (ტრენინგები, საჯარო ლექციები და ა.შ.) განხორციელება სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ;
- 3.6. სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევების, შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებში მხარეებს შორის მედიაცია, მიუკერძოებლობისა და ნეიტრალიტეტის დაცვა;
- 3.7. სტუდენტებისთვის კონფიდენციალური და კოლეგიალური გარემოს შექმნის უზრუნველყოფა;

3.8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სამსახურებთან სტუდენტების კომუნიკაციის ხელშეწყობა;

მუხლი 4. ომბუდსმენის ოფისის მართვა

- 4.1. ომბუდსმენის ოფისს ხელმძღვანელობს ომბუდსმენი;
- 4.2. ომბუდსმენის ოფისს ჰყავს კოორდინატორი;
- 4.3. ომბუდსმენსა და ომბუდსმენის ოფისის კოორდინატორს, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;
- 4.4. ომბუდსმენი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;
- 4.5. ომბუდსმენისა და ოფისის კოორდინატორის ფუნქციები, ანგარიშვალდებულებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით, შრომითი ხელშეკრულებითა და პერსონალის სამუშაო აღწერილობით.

მუხლი 5. ომბუდსმენის უფლებები

- 5.1. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისგან თუ კონკრეტული თანამდებობის პირებისგან საჭირო დოკუმენტაცია/ინფორმაცია;
- 5.2. ისარგებლოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით დადგენილი წესის შესაბამისად;
- 5.3. მოუწოდოს დავის მხარეებს მედიაციის პროცესში მონაწილეობისაკენ;
- 5.4. იყოს დამოუკიდებელი საქმიანობის განხორციელების პროცესში;

მუხლი 6. ომბუდსმენის ფუნქცია-მოვალეობები

- 6.1. უნივერსიტეტის ფარგლებში ზედამხედველობს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;
- 6.2. სტუდენტის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის, ფაქტებთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებში მხარეებს შორის ასრულებს მედიატორის (შუამავლის) ფუნქციას და ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას;

- 6.3. ავლენს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას;
- 6.4. ეწევა საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობას (ტრენინგები, პრეზენტაციები, დისკუსიები და ა.შ.) სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების მიმართულებით;
- 6.5. ამოწმებს სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას და რეაგირებს მათი დარღვევის ფაქტებზე როგორც მიღებული განაცხადების/საჩივრების საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით;
- 6.6. უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე განიხილავს სტუდენტთა განაცხადებსა და საჩივრებს ისეთი ქმედების თაობაზე, რომელიც არღვევს სტუდენტის უფლებებს;
- 6.7. უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის რეკომენდაციებისა და კონსულტაციების გაწევას, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული შესაბამის პროცედურებსა და რეგულაციებზე;
- 6.8. სტუდენტებს აცნობს მათს უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის განუმარტავს აპელაციის პროცედურებს, აძლევს ლეგალურ რჩევებს;
- 6.9. ვალდებულია არ გაამჟღავნოს საიდუმლო და კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია;
- 6.10. შუამდგომლობს სტუდენტს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისგან ინფორმაციის მიღებასა და დეტალების გარკვევაში;
- 6.11. ზრუნავს სტუდენტებისთვის კონფიდენციალური და კოლეგიალური გარემოს შექმნაზე;
- 6.12. ყოველ კონკრეტულ საქმეზე ამზადებს დასკვნას/რეკომენდაციებს და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რექტორს;
- 6.13. უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

- 7.1. ოფისის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი წარმომადგენლობითი საბჭოს წარდგინების საფუძველზე;
- 7.2. ოფისის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით წარმომადგენლობითი საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

